

წელიწადი პირველი.

ახალი

სიტყვა

№ 9

ორკვირეული ქურნალი.

№ 9.

შემდეგი № გამოვა 30 ივნისს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ ურნალ „ახალ სიტყვაზე.“ ურნალის მიზანია ჩვენის ეკკლესიის ცხოვრების განახლება ჭმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობისთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი ოთხი აბაზი. რედაქცია სთხოვს სამრეკლო საბჭოებს,

შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას ურნალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქციის მოლარე მღ. ისააკ ჩეკურაშვილთან: ტფილისი, ანჩის ხატის ქუჩა, სახ. № 1.

სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებულ მღ. ქრ. ცაცქიშვილთან: ტფილისი, კაბეგროვის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51

27 თიბათვეს ნაშუაღამვს მარტყოფის მონასტერში შიიცვალა სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსი კირიონ II. 29 თიბათვეს ნეშტი კათოლიკოსისა ჩამოსვენებულ იქმნა ტფილისში და 7 ივნისს დაიკრძალა სიონის ტაძარში.

კოსის თანამდებობა დიდია და მით უფრო დიდი უნდა იყოს შიში და ქრძალულება ყოველთაგან მისაკენ ხელის გაშვერისა წყეულიმც და შეჩერებულიმც იყოს ორთავე სოფელში, ვინც უღირსებით ინცომის ამ დიდის თანამდებობის მიღება! რაში მდგომარეობს კათოლიკოსის დანიმუშავება? — ერთობის, სიყვარულის და სათნაების განტკიცებაში. ვისაც განხერებულის, სიძულვილის და შფოთის შეტანას მეტი არ ძალაუძს სამკლესიო ცხოვრებაში, ის ვერ გამოდგება თავად ეკკლესიისად. ვერ ვამოდგება მკალესის შესაჭრების ისეთი კაცი, ვინც დღემდის საზოგადო საქმეს ჰდალ-ტობდა სიტყვით, საქმით, უმეცრებით და უფრო მეცნიერებით. მოგვეძებნება კი სასურველი საკათოლიკოსო კანდიდატი! — დაალ, პოვეძებნება; ასეთი კაცი გამოირჩევა საქართველოს ეკკლესიის მღვდელმთავართა შორის და გამოირჩევა, ჩვენდა საბედნიეროდ, არა ერთი მხოლოდ. ვინ უნდა დაადოს ხელი ამ სასურველ კანდიდატს

საკათოლიკო კანდიდატი.

განვებამ ღვთისამ საქართველოს ეკკლესია დააყენა პირის პირ საკათოლიკოსო კანდიდატის წამოყენების საკითხთან. კათოლი-

და უთხრას: „შენ უნდა იკისრო გკკლესის თავითაც!“. საქართველოს ეკკლესის გამგე-ობის დებულების ძალით ეს უფლება ეკუ-თვის უხათუოდ ხალხს, მარწმუნეთა კრე-ბებს, რომელიც გამოცხადებულ ერთს დღს მისცემენ ხმას მთელს საქართველოს გკკლე-სიებში საქათოლიკოსო კანდიდატს. მაგრამ ხალხი ხომ თვით ბირადად ვერ იცნობს სა-კათოლიკოსო კანდიდატებს. ასეთ შემთხვევ-ვაში ხალხის ხელმძღვანელი წამოაყენებენ ხოლმე სასურველ კინდიდატებს და ხალხიც ასეთ პირს, თუ პირთ ირჩევს ხოლმე. დღეს მორწმუნეთა უპირატეს ხელმძღვანელებად ჩვენ მიგვაჩნია ეპარქიათა უფროსნი, მღვდლ-მთავარი. ჩვენის ფიქრით ხაეკკლესით საქმის სიკეთე მოითხოვს, რომ ჩვენს მღვდელ მთა-ვართ მივანდოთ დაასახელონ სიკათოლიკო-სო კანდიდატი. შეიკრიბონ იგინი, ვეღრებით მოიწოდონ სული წმიდა თა როგორც ღვთი-სადმი, კაცისადმი და ქართველ ეკკლესისა და ერისადმი. სიყვარულმა და თვისმა სინდი-შმა უკარნახოს, ურთიერთშორის ამოირჩიონ ერთი კანდიდატი საკათოლიკოსო და გამო-ცხადონ ეს საყვარელთაოდ და ხალხიც ასეც კანდიდატს იირჩევს კათოლიკოსად. რასაკვა-რველია, კანდიდატის დაასახელების უფლება აქვს ყველას და დაე დაასახელოს, ვისაც ვინ უნდა, მაგრამ ამით ჩვენგან ნაჩვენები საშუა-ლება თავისს მნიშვნელობას არ დაპარგავს. ჩვენგან ნაჩვენებ გზით დაასახელებულ კანდი-დატს მეტი პატივი და ხმაც შეეძლება მიიღოს ხალხში. ამით მღვდელ-მთავრებიც უჩვენებენ ხალხს, რომ იგინი ურთიერთთან თანხმობით და სიყვარულით და მხოლოდ საქართველოს ეკკლესის სიკეთის სურვილით ხელმძღვანე-ლობენ და ამას გარდა აგვაცენებნ ბევრ უსიმოვნებას და მწერალებას, როგორიც ამ უკანასკნელ წელში გამოისცადეთ...

წინააღმდეგ. მოუთხოვით ქალალდეჭავა რობდენ ოქმის შედგენას თბილისის სამი-ტროპოლიტოს გაუქმებაზე და მის პატრი-არქიათოლიკოსისადმი დაქვემდიბარებაზე, მა-გრამ ბოლოს თვითვე უგრძნევით თავის გან-ზრახვის უსაბუთობა და გაუნებებით მისთვის თავი. და მართლაც, მე რომ ჩემი ცოლ-შვი-ლი, ან ნაცნობები შეეკრიბო, გავმართო მათთან რჩევა და დავადგინოთ მერიკის პრე-ზიდენტის, ან გერმანის იმპერატორ ვილ-შლმ II-ის გადაუყენება, ნუ თუ ეს სახელმწი-ფონი სავალდებულოდ გაიხდიან თავიანთთვის ჩვენს დადგენილებას! — მგონია არა, და ამას ის უცნაური კრების მონაწილენიც მიმხდა-რან, თუმცა ძალიან გვიან. საქმე რომ ისე იყოს, როგორც არამკითხებს განუზრახავსთ, მაშინ ჰყონდილის სამარტინი შეეძლება გააუ-ქმოს ქუთათელის სამიტროპოლიტო, ურბანე-ლის საბჭო გააუქმებს ალავერდელის კათე-დრას და ასე ერთმანერთს შესჭამენ ეს კათე-დრები. რას უპირატეს უცნაურ კრების მონაწილენი ტფილელ მიტროპოლიტს, გარევეგით ვერ გავიგეთ. მართალია, უბრა-ლო და სადა ცხოვრების მოყვარულ ბერს მონასტერში ცხოვრება ჟურზე და წყალზე ურჩევნია ღაუმსახურებლად, თინაზობით მი-ღებულ დიდ თანამდებობას და თან არ გადა-ჟვება განდიდების მადას, მაგრამ საქმეს კი არ ჟურჩევნია სესარგებლო, სიყრმითგან ქვეყნის მო-ყვარულ ადამიანის ჩრდილში დაყენება. თუ მა-ინც მიტროპოლიტი ლოონიდი არ მოსწონ-დათ არქიელის გორის შეთქმულებს, რადგან იგი დაბალის ტონისაა და მოშვებული წვე-რები აქვს, განა არ შეიძლებოდა უფრო კო-სტა მიტროპოლიტის შონა თბილისისათვის? შორს არ დაჭირდებოდათ ასეთ სასურველ პირის ძებნა. რას ერჩოდენ ტფილისის სამი-ტროპოლიტოს?

ახლა ვკათხოთ, საჭიროა, თუ არა არ-სებობდეს ტფილისის სამიტროპოლიტი? ჩვე-ნის ფიქრით, უსათუოდ საჭიროა. საქართვე-ლოს ეკკლესის საერთო ინტერესებისათვის საჭიროა, რომ პატრიარქ კათოლიკოსი თავი-სუფლი იყოს ისეთის რთულის ებარქიის გა-მგებისაგან, როგორიც არის ტფილისის მი-ტროპოლია. ტფილისში უნდა იჯდეს კა-თოლიკოსიც და მისი მოსაყდრებული კათოლი-კოსს რომ მოსაყდრე არ ჰყავდეს, წირმოუდგე-ნელია. ძანიალ ხშირად, და კერძოდ დიდ დღესასწაულებში, ყველა მღვდელმთავარი თავისს, ებარქიაში უნდა იყონ. ახლა წარმო-

ტფილისის სამიტროპო-

ლ ტ.

მშ სამიოდე კვარის წინ ქ. ქუთაისში შექრებილან სასულიერო და საერთო პირნი არქიელის გორაზე და წამოუყენებით საერ-თო ტფილისის სამიტროპოლიტოს გაუქმება-ზე. კრებაზე ძალიან ცხარე სიტყვები წარმა-თქმულა და ყველანი საობარ გუნებაზე დამ-დგარა, რასაკვირველია, ქარის წისქვილების



ვიდგინოთ, რომ ზოგიერთ საყურადღებო დროს ტფილისში არის მარტო კათოლიკოსი. შესაძლებელია ხომ, რომ იგი უკიცრივ ან ავად გახდეს ან კიდევ უარესი უბედურობა მოუვიდეს. ამ შეძოხვევისათვის აქვე უნდა იყოს კათოლიკოსის მოსაყდრე. ასე იყო ძველადაც, ისტორიულად და ძველი ყველაფერი კი არ არის დასაგმობი.

იტყვიან ზოგნი, კათოლიკოსისა და ტფილელი მიტროპოლიტის ერთდღ მოთავსე ბა ტფილის არ შეუძლია, ერთმანერთს არ მოასვენებენ: იმოვტებენ ისტორიას ძველსა და ახალსა. ეს საბუთი ძალიან მოისუსტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი ბოროტად და გულდვარძლიანად წარმოვიდგინოთ. ნუ თუ ვერ უნდა გამოვნახოთ ორი ისეთი ადამიანი, ნდობის ლირსნი, რომ მათ ერთმანერთი არ სჭმონ და არ სწ წონ? ყველა ჩვენგანი უნდა შეეჩიოს თავისს დანიშნულ კალაბოტში დაეტიოს, სხვისი არსებობაც შეიწყნაროს და რომის პაპობას არ ისახავდეს თავისს მიზნად. ყოველ ორგანიზაციაში არის უფროს-უმცროსობა. მინისტრს ჰყავს თავისი თანაშემწე, მაგრამ ერთმანერთის შესაჭმელად კი არა, ერთმანერთის დასახმარებლად. აქამ და იმათ ჩეუბი მოუვათ ერთმანერთში, ამისათვის მინისტრს თანაშემწე და ამხანაგები ნუ ეყოლებათ,—ეს ხომ გადარეულის აზრია. კათოლიკოსიც და ტფილელიც ხომ ერთგვარი მინისტრი და მისი თანაშემწე არიან. და სირცევილი სასულიერო წოდებას და იმის უმაღლესს წარმომადგენლებს, რომელთაც მუდამ ხელში უკირავთ და მისი პირი—სახართველოში, სადაც ეკლესიის სხვა უბედურებათა ზედ ერთვოდა გარსების პოლიტიკაც.

დარჩა დასარღვევი ერთი მოსაზრება. ტფილისის კათედრა ზედმეტს ხარჯს მოითხოვს. მაგრამ ჩვენ ზევით, გვვონია, ცხადვყავით ტფილელის კათედრის არსებობის საკიროება და თუ იგი საჭიროა, ხარჯიც უნდა გავიღოთ მისთვის, თორემ ხარჯის შემოკლებას, რომ გაოვევიდოთ, მაშინ ერთი კათოლიკოსი ან ეპისკოპოსი უფრო აღვილი

შესანახი იქნება მთელის საქართველოსთვისტიკონტინუატორია ამას გარდა კათოლიკოსისა და სხვა მღვდელ მთავრების ჯამაგირებში ძალიან დიდი განსხვავებაც არ უნდა იყოს და მაშინ უფრო მოვარდება საქმე. სახარებაც რომ არ გვიკარნ ახებდეს ამას, საერთო წოდების უმაღლეს უფროსთა მაგალითი მაინც უნდა გვეღვის თვალშინ. მინ სტრებისა და მათ თანაშემწერთა ჯამაგირებში დიდი განსხვავება არ მოიპოვება. ვისწავლით სიყვარული და ურთიერთის შეწყნარება იმათვან, ვისაც თვით ჩვენ უნდა შევსწავებდეთ ესე ვითართა სათნოებათა.

რესპუბლიკაში ჩვენი ეკლესია.

4. *)

ცნობილი აფორიზმი, რუსეთი ლოგიურ წინაღმდეგობათა სამეფოა, საეკლესიო საქმებში ცხადი კეშმარიტება იყო. არსად დედამიწის ზურგზედ სახელმწიფო იმდენს ვითომდა მფარველობას არ უწევდა ეკლესიას, როგორც რუსეთში, და ამავე დროს არსად ქვეყნიერობაზედ ეკლესია ისე დამტირებული და მისი სამღვდელოება ისე დაჩაგრული არ იყო, როგორც „წმიდა“ რუსეთში და მის ყოფილ ნაწილში—საქართველოში, სადაც ეკლესიის სხვა უბედურებათა ზედ ერთვოდა გარსების პოლიტიკაც.

რითაც გსურს, იმით იცხოვრე, ოღონდ სახელმწიფოს ჯამაგირის მომატება და სამწყსოს სასყიდლის გაღება არ მოსთხოვთ და არც კერძო სამსახური, უბრალო ქაღალდის გადაწერაც არ გაბედოვო—აი რას მოითხოვდა კანონი სამღვდელოებისაგან. აღსანიშნავია, რომ რუსეთი მთელს საქრისტიანოში თითქმის ერთად ერთი სახელმწიფო იყო, სადაც არამარტინი თუ არავითარი ნიხრი მღვდელმშედებათა. შესრულებისათვის სასყიდლისა არ არსებობდა,—პირიქით, ყოველ სიტყვის დაძრა გასამრჯელოს შესახებ ძალით წარმევას, იურიდიულ ტერმინოლოგით „ВЫМОГАТЕЛЬСТВО“—ს უდრიდა და ცხოვრებას მოწყვეტილი ეპისკოპოსები სწორედ ამ თვალსაზრისით ასამართლებლენჯ მასა.

სხვა ქვეყნებში კი მოუხედავთ იმისა, გამოყოფილია თუ არა ეკლესია სახელმწი-

*) იახ. სიტყვა № 7.



ფოსგან, ყველგან არსებობს მინიშალური ნიხრი ყოველნაირ, თვით სულ უბრალო მღვდელმოქმედებაზე, რისი ნაეკლებსაც ვერ შეაძლევ მღვდელია. პატიება და ხათრი მხოლოდ მისგან და მის ქონებრივ მღვმარეობისაგან არის დამოკიდებული და ამიტომ იქ ფაქტიურად შეუძლებელია ის წვრილმანი, აჩვერი. შეე იგებული უთანხმოება სამღვდელოებისა და სამწყსოს შორის, რომელიც ჩვენში ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული... მაგალითად, გერმანიაში*) სამღვდელოების შესანახ ხარჯის გაღებისათვის სამრევლოები ცხრა ხარისხად არის დაყოფილი იმისდა მიხედვით, თუ რომელ წრისა და რა შეძლებისაა შოქალაქე. ვინ რომელ ხარისხის შეძლებისაა, ამას ყოველ წლობით წინდაწინ ადასტურებენ სამრევლოთა წარმომადგენლები ანუ ჩვენებურად სამრევლო საბჭები. მათი უფლება ადგილობრივ სახსართვა შესახებ განუხახვრელია, თუ მათ ეთანხმება საოლქო საბჭოს წევრი, რომელიც იჩევს მხოლოდ სამღვდელოება წინაღმდეგ შემთხვევაში საკითხს სწყავტს ეპისკოპოსი საერთო მთავრობის წარმომადგენელთან შეთანხმებით.

სხვადასხვა თვალსაზრისით ცვალებადია ნიხრი მღვდელმოქმედებათა სასყიდოისა ბელგიაში, ჰოლანდიაში, ბოლგარიაში, საფრანგეთში და სხვგან. ბელგიაში, მაგალითად, ეს ნიხრი ცვლება იმისდა მიხედვით, თუ დღე-დამის რომელ საათზე სრულდება მღვდელმოქმედება. იქ საზოგადოება წუთობით ანგარიშობს და აფასებს ცროსა და ყოვლად შეუძლებელია ისეთი შემთხვევები, რაც ჩვენში ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული: 9 საათისთვის გვიჩარებენ ცხელრის გამოსასვენებლიდა და 11—12 საათზე ძლივს გამოსასვენებენ; საღამოს 6 საათისთვის დანიშნული ქორწილი შეადამისას მოდის და საბრალო მღვდელი ეკლესიის კარებთან უნდა იჯდეს უსამზღვრო მოლოდინში; ან კიდევ 2—3 საათი გვალოდინებენ ნათლობას, „ნა-

*) აქ ციტრები თუ სხვა ცნობები დასავლეთის შესახებ ჩვენ მო ვყავს სხვათა შორის იმ ვრცელ და მასალებით მდიდარ მოსხენებიდან, რომელიც შარზან ენკენისთვეს წარუდგინა მოსკოვის საეკლესიო კრებას პროფესიონალ კერძნებიდ ამ სათაურით: „**Экономическое и правовое положение Европы в западных государствах в сопоставлении с Россией**“. მომხენებლოს უბად უსარგებლნია პირად ნახაგონილით და მრავალ წერილობითი წყაროებით.

თლია ჯერ არ მობრძანებულია“, და დასახურის მისა „მობრძანებული“ ნათლია მდაბიო მუშის ნიხრით ჯილდოვებს ჩვენს მღვდელსა. ბელგიის სატახტო ქალაქ ბრუუსელში მიცუალებულის ანდერძის აგება ღილა დილის 10 საათამდე 350 ფრანკი *) (130 მან. 50 კაპ.), გვიან უფრო მეტი რის. ძლიერ ძვირი ღილა მღვდელმოქმედების შესრულება ღამით, რადგანაც ღამე ბელგიაში ყაველ მოქალაქის სოფიას, მუშადან მყოლებული მინისტრამდე, „საკუთარი დროა“, რომლის წართმევა თვით კაროლისაც არ შეუძლია. ბელგიის სოფიებშიაც შალალი ნიხრი არსებობს. წესის აგება ღილა 60 ფრ. (22 მან. და 50 კაპ.). ჯვარის წერა 14 ფრ. და 50 სუ (5 გ. და 20 კ.) და სხვა. ასეთივე ნიხრი არსებობს ჰოლანდიაში 1848 წლის კონსტიტუციის ძალით.

აღსანიშნავია, რომ ყაველნაირ აღარების შორის უფრო უზრუნველყოფილია ანგლო-პრესვიტერიანთა სამღვდელოება, შემდეგ ლიუტერან-პრიორესტანტთა, მერმე კათოლიკეთა და ბოლოს მართლმადიდებელი. საზღვარგარეთელი მართლმადიდებელი სამღვდელოება გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ვიდრე ჩვენში. სულ უკანასკნელი ადგილი სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის მხრივ უჭიროვთ სერბეთს, რუსეთს და საქართველოს, —განსაკუთრებით საქართველოს, რომლის ეკლესიები რუსის მთავრობამ გაცარცვა, სამწყსო გააღატავა და სამღვდელოება დააკანია გაუნათლებელ შემადგენლობით და უფლებათა შეკვეცია.

ინგლისში, მაგალითად, ეკლესიებს უთვალივი უძრავი ქონება აქვთ მიწა ადგილების და მენობების სახით. იქ საკრებულო ტაძრის წინამდგვარს ეძლევა წელიწადში საეკლესიო ფონდიდან შ, 400 გირვანქა სტერლინგ**) (ჩვენებურად ოცდაოთ ათას მანგითადე) გარდა მღვდელმოქმედებათვის ჩვეულებრივ შემოსვლისა; უბრალო მღვდელს იმავე ფონდიდან, გარდა შემოსავლის, 1,000 გირ. სტერ. (10, ათას მ.), ეპისკოპოსებს 70—150 ათასი მანეთი... იქ სამღვდელოებას ქვეყნის მართვა-გამგეობაშიაც ღილი გავლენა აქვს. ათიოდე ეპისკოპოსი წევრია ზენა პალატისა, სადაც კაროლის შემლებ პი-

*) თითო ფრანკი უდრის ჩვენებურად ოც და ჩვილმეტ კაპეიკ და ნახევაოსა.

**) სტერლინგი—9 მან. და 26 კაპ.

რევლი საგარენი კენტებრიის არქი-ეპისკოპოს მკუთვნის, მეორე დიდ ქანცლერს, რომელიც ხშირად იძულებული ხდება ამაყი ქედი მორჩილებით მოიხაროს ეკკლესიის წარმომადგენილების წინაშე, თუმცა ორას წელიწადებები მეტია, რაც ინგლისში ყოველნაირი სამოქალაქო თავისუფლება არსებობს.

(დასასრული იქნება).

ღვა. ილ. შუბლაძე.

ღვთის მსასურება.

2. წირვა-ლოცვის წესი.

როგორც წინა წერილში მიაფიხსენეთ, წირვა-ლოცვის წესები და საგალობელ-საკითხევები შედგენილია IV—XII საუკუნეებში უმთავრესად ბერძნებისაგან მას შემდეგ ეს წესები თითქმის ერთ წერტილზე გაიყინა და სრულდება დღეს უფრო როგორც გარეგნული ჩვეულება, ვიდრე შინაგანი მოთხოვნა-ლება მორწმუნისა. აუკენელი ლოცვები იყითხვის და იგალობების სრულებით მექანიკურად ისე, რომ არც სულს ეუბნება რამეს და არც გულს. არამც თუ ჩვეულებრივ მსმენელს არ ესმის ეს ლოცვები, არამედ თვით მღვდელ-დიაკვნებსაც. ერთმა გაჭალარავებულმა მღვდელმა კითხვით მიმართა მეორეს, რას ნიშნავს: „ძლევითა გალობისა მგალობელნი, მხმობელნი, მღალადებელნი და მეტყველნი“—ო. თურმე მას არაოდეს არ დაეკავშირებია ეს სიტყვები იმ საიდუმლო ლოცვისათვის, რომელიც წინ მიუძღვის ამ ასამაღლებელს, და, რასაკვირველია, ვერც მისს შინაარს გაიგებდა. თუ ეს დაემართა მღვდელობაში დაბერძნებულ მღვდელს, როგორ უნდა გაიგოს წირვა-ლოცვის შინაარსი ჩვეულებრივმა მორწმუნებმ, რომელსაც ესმის მხოლოდ წიგირითი წინადანი ხმა და მათ სრულიადაც არ იტყვის, არაფერს არ დააშავებს. ამაზე იყო ნათქვამი ჩვენს საეკლესიო კრებაზე, თანახმაც იყო კრება მიქცეოდა ამას ყურადღება, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხეთ ესა. გარდა ამისა ერთი და იგივე კვერექსი განმეორებული არ უნდა იყოს ხოლმე ხშირად. მაგალ.. დიდი გამოსვლის შემდეგ ითქმის კვერექსი, რომელიც მეორდება საუფლო ლოცვის წინ. კმარა ერთხელ თქმა. წირვის წინ ვამბობთ უანობას მესამეს და მეექვესს ზედიაზედ. ლოცვები განიმეორებიან 15—20 წუთის გმნავლობაში რამდენჯერმე. მაგ., „წმ. ღმერთო-მამაო ჩვენო“ საჯერ განიმეორების, ტროპარ კანდაკი ორ-ორჯერ და სხვა. შესაძლებელია, მეექვეს უამი სულაც არ იკითხებოდეს, რა-

უველამ წერა-კითხვა იცოდეს და მეორეც უცხოები. წირვა-ლოცვის წესი უნდა გადასინჯულ იქნეს, ერთის მხრით შემოკლდეს და მეორეს მხრით კი გამშენიერდეს. თან უნდა დაიბეჭდოს მხედრულად წირვა-ლოცვის წიგნები, რომ მსურველებს შეეძლოს ყიდვა. აქვე ვიტყვით, რომ დროა მხედრული ასოებით იბეჭდებოდეს საეკლესიო წიგნები, რომ გაადვილდეს მათი კითხვა, თორევ ვხედავთ, რომ ხუცურის კითხვა ბევრს უძნებლდება, იმისთანა პირსაც კი ვისოფისაც ეს ყოვლად მიუტევებელია...“

წირვა-ლოცვის წესში რომ უაზროთ მივდევთ ტრადიციას, ცხადია. ჩვენ ამ შემთხვევაში ვადგივართ რუს „რასკოლნიკების“, აზრს, რომელნიც სიკვდილს ირჩევდენ ვიდრე ძველ წიგნების გასწორებაზე დათანხმდებოდენ; აი იმათი მარტივი ფილოსოფია: „ჩვენა-მდინ ასეა დადგენილი, ასევე უნდა იყოს უკუნისამდე; მართლ-მატიდებლად უნდა მოჰკვდე ერთი „ანი“ სათვისთვის“. წირვაზე მაგალ.. გვე-სმის: „ილოცვეთ, კათაკმეველნი“, „განვედით, კათაკმეველნი“ და სხვა. მღვდელი კიდევ საიდუმლოდ კითხულობს კათაკმეველთათვის ლოცვებს, კათაკმეველნი კი შეკლესიაში არავის გვინმხავს. ეს კვერექსები და აგრეთვე მცირე კვერექსი მათ შემდეგ დიდ გამოსვლა-მდის დღეს ყოველივე აზრს არის მოკლებული და ვინც მათ სრულიადაც არ იტყვის, არაფერს არ დააშავებს. ამაზე იყო ნათქვამი ჩვენს საეკლესიო კრებაზე, თანახმაც იყო კრება მიქცეოდა ამას ყურადღება, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხეთ ესა. გარდა ამისა ერთი და იგივე კვერექსი განმეორებული არ უნდა იყოს ხოლმე ხშირად. მაგალ.. დიდი გამოსვლის შემდეგ ითქმის კვერექსი, რომელიც მეორდება საუფლო ლოცვის წინ. კმარა ერთხელ თქმა. წირვის წინ ვამბობთ უანობას მესამეს და მეექვესს ზედიაზედ. ლოცვები განიმეორებიან 15—20 წუთის გმნავლობაში რამდენჯერმე. მაგ., „წმ. ღმერთო-მამაო ჩვენო“ საჯერ განიმეორების, ტროპარ კანდაკი ორ-ორჯერ და სხვა. შესაძლებელია, მეექვეს უამი სულაც არ იკითხებოდეს, რა-

დგან წირვა დილით, ძველებურათ სამზე და ახლანდურად ცხრა საათზე სრულდება. მე-ექვსე უამი კი უდრის შუადლეს, როდესაც წირვა უნდა თავდებოდეს. აგრეთვე მეტია 40-ჯერ, გრა 12-ჯერ „უფალო შეგვიწყა-ლე“-ს თქმა.

ყოველივე წესების მსახურების შესრუ-ლებისა უნდა გამარტივებულ იქნეს, და რა-მდენადაც შესაძლებელია, დაუახლოვდეს პი-რველი საუკუნეთა დროის წესებს.

დღევანდელი წესები, სხვა და სხვა დრო-ში და საუკუნეებში შედგენილნი და შევე-ზულნი, ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ უცნაური და გაუგებარნი არიან. ამ ორიოდე წლის წინეთ მირქმა უფლისა ხედებოდა ზავ ორშაბათს, ამ დღეს კი საეკლესიო წესებით არ შეიძლება დღესასწაულობა; აიღეს და ეს დღეობა ორი თებერვლის მაგიერ გადაიტანეს პირველ თებერვალს. რატომაც, იყითხავთ; იმიტომაც, რომ ასე დაადგ-ნეს როდისღაცა. ხარების ტიპიკონის შესწავლა უბრალო მო-მაკვდავს არ შეეძლია, ისე თრულია. მჩა-ვალია ასეთი მაგალითები, მაგრამ ესეც კმა-რა. აუცილებლად საჭიროა შესდგეს მცო-ლნეთაგან კომისია, რომ შესწარებული იქმ-ნეს ღვთის მსახურების შესრულების წესები.

დეკ. ქრ. ციცქიშვილი.

სარწმუნოება და ზნეუბისა.

მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, რეფო-რმატორი არ იყო. იმას არ მოუცია ადამია-ნისათვის არც იურიდიული, არც სოციალუ-რი და არც ეკონომიკური კანონები, მაგრამ მან გაცილებით მეტი სიკეთე მოუტანა კა-ცობრიობას სწავლა-მოღვაწეობით, ვინემ რო-მელიმე რეფორმატორმა. როგორი იყო ადა-მიანის ყოფა-ცხოვრ, მა კერპთაყვანის მცემ-ლობის დროს და როგორ შეიცვალა იგი?

ბევრმა ჩვენგანმა იცის თუ როგორს სი-ბნელეში იმყოფებოდა კაცობრიობა ქრისტეს მსაცვლამდის, ადამიანმა არ იცოდა ვინ იყო ღმერთი, ვისთვის და როგორ უნდა ეცა თა-

ყვანი. უმეტესი ნაწილი კაცობრიობის უცემენი რპებისა სცემდა თაყვანს; მცენარეებს, ცხო-ველებს, მნათობებს აღმერთებდა, მათ ეგე-დრებოდა და მსხვერპლად ხშირად აღამიან-საც სწირავდა. „პატივსა სცემდენ და მსახუ-რებდენ დაბადებულთა უფროს დამბადებელი-სა“. ასე ჰქონდათ დაბშული გონება. თუმცა უცმირეს ნაწილს კაცობრიობისას, ებრაელებს, სწამდათ კეშმარიტი ღმერთი, მაგრამ ის თი-თქოს საკუთრებათ მიაჩნდათ. უწოდებდენ ღმერთს აბრამისას, ისააკისას და იაკობისას, ღმერთს ისრაილისას. ეგონათ, კეშმარიტი ღმერთი მხოლოდ იმათ ღმერთად უნდა ით-ვლებოდეს და არა მთელი კაცობრიობისად. ამასთან ფიქრობდენ: ღმერთი დაუსჯელად არ დასტოვებს კაცს, თუ მან შესცოდა, თუნდაც ეს თავისი ცოდვა მოინანიოს. არ იცოდა აგრეთვე, თუ როგორი დამოკიდებულება უნ-და ყოფილივო კაცთა შორის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას არ ეტყობოდა სიყვარელი, ერთმანეთის გულისათვის თავდადება. ყოველი კაცი თავის ინ-ტერესებს იცავდა და ეძებდა. თუ ვინმე გცე-მდა პატივს, მისთვის, რომ სამაგიერო მიეღო. თუ ვისმეს რამეს დაუშავებდი, აწყენიებდი, უსათუოდ სამაგიეროს გადაგიხდიდა. მარტო-კა წარმართებს, კერპთაყვანის-მცემლებს; კი არა, ებრაელებსაც ასე ესმოდათ ცხოვრება. სიტყვებია: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილის წილთ, შეიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენია ნათლად ხატავენ მა-შინდელ წესწყობილებას, კაცთა ურთიერთო-ბის დამოკიდებულებას. ამასთან ზოგნი ფი-ქრობდენ, მოყვასი ჩვენი ის არის, ვინც ჩვენი ტომისაა; ზოგნი მოყვასად სთვლილენ, ვინც მათი სარწმუნოე-ბისა იყო. სხვებს კი მტრულის თვალით უცემროლენ. იმ დროს მთელი კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფოდა. ერთ ნაწილს შეა-დგენდენ თავისუფალი მოქალაქენი, ბატონე-ბი, მეორეს მონები, იმათი ყბები. პირველნი ისე ეცყვირობინენ მეორეებს, როგორც პირუტი: უნდოდათ გაყიდდენ, უნდოდათ დააგირავე-ბდენ, უნდოდათ დახოცავდენ. ასე გასინჯეთ,

ცხოველებს უფრო იძრალებდნ, ვინემ მონებს. მაგალითად, თუ ვინმე ხარს, როცა უღელში ება, მოკლავდა, სიკვდილით დაისჯებოდა, და თუ მონას, არავითარი სასჯელი არ მოელოდა. მდიდარ მოქალაქეთ სახლების შესავალ კარებთან დღე და ღამე მონები ჰყავდათ ოთხფეხით მობმულნი ქურდებისა და ავაზაკების წინააღმდეგ. გასართობად, დროების გასატარებლად, მონებს ერთმანეთუთან აომებდნ, ერთმანეთის სისხლს აღვრევინებდნ და მით სტკპებიდნ.

(შემდგი იქნება).

ღია წერილი.

კუკის წმ. ნინოს ტაძრის წინამდლვარს დეკანოზ გიორგი გამოცემობს.

აწ განსეუნებულ პატრიარქ-კათოლიკოსის კირილ მეორის ერთ-ერთ პან-შეიდუმ თქვენ ძლიერ სჯავრობით „ახალ სიტყვის“ რედაქციაზე და მისს ხელმძღვანელებს საჯაროდ ვოსტორგოვის ლაქებს უწოდებდით.

უზომოდ გამ-ხარა თქვენმა რიხიანმა ხმამ, რა-დგანაც ხუთი წელიწადია, რაც არამც თუ ხმა-ამო-ლებული, ხალხში გამოსულიც არც მინახავართ. ძლიერ მომენტია აგრეთვე გაკიცხვა ვოსტორგოვისა, რომელმაც მართლა გაათახირა ქართული ეკლესია და გარკვენა ჩენი სამღვდელოება.

მაგრამ ჩემი თქვენგან მოგრილი სიამოვნება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგანაც ერთმა ჩენიმა საერთო ნაცნობმა იმავე საღამოს მაჩვენა 1907 წლის 8 აპრილის № 76 გაზ. „ვაკავაზე“, სადაც მესამე რდებულ „Интересный документъ“-ის სათაურით დაგეპდილია დეკ. ვოსტორგოვის 1904. წლის 8 მარტის № 793 მოხსენება ყოფილ ექსარხოს ალექსი პირველის სახელობაზე ამ მოხსენების პირველ მუხლში ვოსტორგოვი ამტკიცებს, რომ თქვენდ მი რწმუნებულ სასაფლაოს ექლესიაში წირა-ლოცვა უნდა სრულდებოდეს უხათურდ რუსულად. მეორე მუხლში თხოულობს მღვდე. გარსიაშვილის, როგორც ამ წესის დამრღვევის, გადაყვანას. ხოლო მესამე მუხლში პირად თქვენზე, როგორც წინამდლვარზე, „O. გამრეკელის“-ზე სწერს ზემდეგს: „Наставляя де-ркви, который в общем держится корректно по отзыву генерала №№, оставить на месте“.

ეს ჩემის ფალებით წავიკითხე. თქვენ კი სიტყვიერად ეს ქათინაური არ უარგიყვიათ დღემდინ. და ამიტომ გთხოვთ პრესის საშვალებით გნგიმარტო, რამ გაიძულათ 15 წლის განმავლობაში სისხმე და ზურგით ტახება ამ „ძეგბათა-ქებისა“...

და რომ მეორეჯერ ისევ არ შეგაწუხოთ, ერთ-დროულად განგვიმარტო ბარემ, სიმართლეა თუ არა მორული ხმა, რომ თქვენდამო რწმუნებულ ეკლესიაში ამ ბოლო დრომდინ იხსნებენ რუსის ექსარხოსს და ვითომ თქვენის ნების წინააღმდეგ, გენ სტეპანოვის მაგიერ, მთლარედ არჩეულმა ბ. ფარადაშვილმა მოგაშლევინათ ეს ჩვეულება...

ნადიროვისეული.

ანონიმურ წერილების

ჯგუფის.

პირველ ამ მკათაფეს ქართველ სამღვდელოების ზოგიერთ ფრიად პატივცემულ წარმომადგენლებს ფო-შტოით დაურიგდათ დაზღვეული ანონიმური წერილები, რომელშიაც ერთი ცნობილი ბიძგერი სულიერი ცდილობს დამციროს ზემოხსენებული პირები. „პატივცემულ“ ავტორს ჩენ შეგვიძლია ჯერხნობით მხოლოდ შემდეგი ჩენევა მივცეთ.

ტყუილად ირჯებით ანონიმურ წერილების გზა-ვნ თ, რადგანაც ყველანი კარგად გცნობენ იმ დრო-იდანაც, როდ საც ამგარივე უსახელო წერილები დაიგზანა თბილისში სხვადასხვა პირებთან დიდუბის საქმებისა გამო. შეგეძლოთ პირდაპირ ხელმოწერით გმოგეგზავნათ ესევე წერილი და ზნეობრივი ფასი ერთი და იგივე ექნებოდა, რადგანაც „კოკას შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“... ამაოდ აფუ-ჭებთ ქაღალდს და მარქებს, რადგანაც უთქვენდაც მშვენივრად გიცნობთ იმ პირებს, ვინც გსურთ ვითომ გაგაცნოთ თქვენის უწმაწურ ანონიმურ წერ ლებით... არ გვივირს, რომ ყველას ქუჩერად ლანძღვო, რა-დგანაც ეს თქვენი ხელობა, თუმცა ამ ხელობისთვის საჭირო არ იყო არავითარ აკად მიის გათავება, არც ჩვიდმეტი დი ხახაზინ პურის ჭამა და არც პატიოს 6 ხალხში თვისი თანამდებობით გარევა. საქმარისი იყო ის ჭუბა, სადაც ბოლოს მინც გაგი-წვი თ თქვენმა ბუნებამ...

თუ ღვთია არ გეშინია და დამიანის არ გრცვენია, ზეიბრალე მაინც ის უბადუუკი, ვისაც ჰუყვნია ამ წერილების გადაწერით. ის ხომ შენიანია, ხოლო თავისიანს ნადირიც კი უფრთხილდება!

მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლო ხნებში მოხდა, თქვენგან სრულებით არა გ გვიკვირდება რა...

განუმარტავს საზობადოებას, თუ რამდენად სიმართლეა ეს აღმაშენოთვებელი ხმები.

გინ-ზე .

ქრონიკა.

ქანსვენებულ პატრიარქ-კათოლიკოსის კირიონ მეორის ნეშთი დაკრძალეს სიონის ტაძარში კვირა, 7 მეტათვეს. როცა ამ ტრადიციულ გადაცემალების მიზეთა გამოძიება დამთავრდება, ჩევნ აღნუსხვთ იმ პროვოკაციას, რომელიც შავ-ბნელმა ძალებში და ნაძირალებმა გამართეს განსვენებულის ნეშთის გარეშემო პირადის ინტერესებისათვის...

ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ს სულიერი გიმნაზიის ზედამნედველის თანა შემწეს, მღვდელმონაზონ თნიველ შუშანიას ანაფორა გაუხდია და სასულიერო უწყებიდან გასულა.

მიტროპოლიტმა ჭეკონიძმა განათლების მინისტრს წერილობათი პროტესტით მიმართა დაბალ სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლების გაუქმებისა გამო.

ქ. თბილისის გამგეობამ ოფიციალურად გამოაცხად გაა. „ქავკაზში“, რომ არსებული კასონები ცოლ ქმრის გაყრის შესახებ ძალაში რჩება და ქალაქის გამგეობას არავითარი დამჟაფრდებულება არ აქვს ამ საქმესთან. ამნაირად ორ წყალ შუა დასაჩინენ ის „ცოლ-ქმარნი“, რომელთაც მოდისთვის „უპრავაში დაიწერეს ჯვარი“ და ან „გაიყარნენ“ იქა.

✓ გაა. „სახალხო საქმე“ (№ 270) სწერს, რომ თბილისის კეირაცხოვლის ეკკლესიის წინაშედვარს მღვდლადიმერ გურგენიძეს რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღია—და საქართველოს რესპუბლიკას არა სცნობს. ჩევნ გვატყობინებენ, რომ იგივე მოძღვარი წირვა-ლოცვაზე იხსენიებს რუსეთის პატრიარქ ტიქონს. ვიმედოვნობთ, რომ მ. გურგენიძე განვეთების საშუალებით

ქვაშვეთის ეკლესიის სამრეკოს წინაპირი განზრაბულია რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტზე გაიყვანონ. საჭიროა დიდი თანხა შოქალაქე მიტროფანე ლალინმ ამ საქმისთვის გაიღო ორმოცდა:თი თუმანი. იმედია სხვა შეძლებული ქართველებიც მსპარვენ ბ. ლალის მამულისშვილურ მაგალითს.

19 ივნისს დიდუმეში „ერთგულმა მცველებმა“ გადასწევს რამოდენიმე მილიონად ღირებული საინტენდანტოს საწყობი, საიდგანაც მათ წინდაწინ გამოუტანით და მიუთვისებიათ უკალაგი ქონება პურის, შექრის და სხვა სანოვაგის სახით. „მცველები“ რუსები გახდათ. საერთოდ საქართველოს დამთუკიდებლობამ ბევრი რუსი მოხელე, აფიცრობა და სამღვდელო პირნი გააბორობდა. მათის აზრით, სჯობია საქართველო ცეცხლს და წყალს მიეცეს, ოღონდ ქართველებს ნუ დარჩებათ.

კვირას 18 ივნისს რეალურ სასწავლებელში. მოხდა კრება საღვთო სჯულის მასწავლებელთა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დეკ. სმირნოვი. კრების საგანი იყო წარდგენა მთავრობისადმი მთხელებისა ს. ღვთო სჯულის სავალდებულო საგნად დატოვების შესახებ სასწავლებლებში. ერთმა ქართველმა მღვდელმ კრების გახსნისათანავე მოითხოვა, გ გზავნოდა მთავრობას მილოცვა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებისა გამო. რუსებმა უარი განაცხადეს ჯერ. მაგრამ ქართველებმა უპასუხეს, რომ თუ წინადადება მიღებული იქნება, კრებიდან წავალთო. ამის შემდეგ დიდის ყოყმანის შემდეგ რუსებიც დათანხმდენ მთავრობისადმი მისალმებაზე. კრებამ აზრია დეკუტრაცია მთავრობისადმი წარსადგენად მოხსენებისა სკოლებში საღვთო სჯულის სავალდებულო საგნად დატოვების შესახებ.

გამომცემელი ქ. ტფილისის ამღვდელოვება. „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებული დეკ. ქ. ციცქაშვილი.